

ქცევის მართვა სკოლებში კრიზისული სიტუაციების დროს

გზამკვლევი მასწავლებლებისთვის



გზამკვლევა მუშაობდნენ:

ავტორები:

თამარ მუხლაძე, პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკის მაგისტრი, ფსიქოლოგი

ნინო მიქაია, განათლების ადმინისტრირების მაგისტრი, ფსიქოლოგი

თამთასაამიშვილი, ფსიქოლოგიური შეფასების, დიაგნოსტიკისა და კონსულტირების მაგისტრი, ფსიქოლოგი

კონსულტანტი:

თამარ ისაკაძე, ფსიქოლოგიის მაგისტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი

იდეის ავტორი:

ეკატერინე დგებუაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი

კორექტორი:

მარიამ ბედიანაშვილი

დიზაინერი:

მარიამ ჯიჯავაძე

დამკაბადონებელი

კესო მამფორია

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში

2018

სარჩევი

თავი 1. უცვლასთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაციები და მათი პრევენცია

1.1. კრიზისული სიტუაციები სკოლის გარემოში	8
1.2. პრევენციული ღონისძიებები	10

თავი 2. უცვლის მართვა კრიზისული სიტუაციების დროს

2.1. კრიზისების მართვის გეგმა	22
2.2. კრიზისული ინტერვენციის სპეციფიკა	29
2.3. ფიზიკური ინტერვენცია	37
2.4. რეკომენდაციები კრიზისული სიტუაციების გამომწვევი კონკრეტული უცვლების მართვისთვის	43

თავი 3. მონაწილეობა და რეფერირება კრიზისული სიტუაციების დროს

3.1. მხარეები და მათი როლები	52
3.2. მხარდაჭერი რესურსები და რეფერირება	55

წინასიტყვაობა

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია დაეხმაროს სკოლის პერსონალს მოსწავლის ქცევასთან დაკავშირებული, სკოლის ტერიტორიაზე აღმოცენებული კრიზისული სიტუაციების მართვაში, რომელიც საფრთხის წინაშე აყენებს თვითონ მოსწავლეს ან სხვა პირებს და ხელს უშლის სასწავლო პროცესს.

გზამკვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ერთი მხრივ, ასწავლის მკითხველს თუ როგორ უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლის რთული ქცევით განპირობებული კრიზისული სიტუაციების თავიდან არიდებას (პრევენციას), მეორე მხრივ კი იმას, თუ როგორ „განმუხტოს“ სიტუაცია, რა გააკეთოს მოსწავლის უკიდურესად რთული ქცევების აღმოცენების შემთხვევაში, რა გზით აღკვეთოს ქცევა საკუთარი, გარშემომყოფებისა თუ ფიზიკური გარემოს დაზიანების თავიდან ასაცილებლად ისე, რომ არ დაირღვეს მოსწავლეთა უფლებები.

ქცევასთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაციების მართვის უნარი სკოლის პერსონალისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სხვა კრიზისული სიტუაციების მართვის მზაობა. ასეთი შემთხვევები სკოლაში შეიძლება აღმოცენდეს სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი თვალსაჩინო წინაპირობებისა და მიმანიშნებლების გარე-

შე. ქცევასთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაციის თავიდან აცილებაც ყოველთვის შესაძლებელი არ არის, რაც არ უნდა კარგი პრევენციული ღონისძიებები ტარდებოდეს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მზად იყოს ასეთ სიტუაციებში რეაგირებისთვის. მზაობას კი განსაზღვრავს პერსონალის ინფორმირება და აღჭურვა კრიზისული სიტუაციების მართვისთვის სათანადო ტექნიკებით. თუმცა, სკოლის პერსონალი, ყოველთვის, მხოლოდ საკუთარი ძალებით და რესურსებით მაინც ვერ შეძლებს მოსწავლის რთული ქცევებით გამოწვეულ კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავებას და, შესაძლოა, დასჭირდეს დამხმარე სპეციალისტებთან რეფერირება და თანამშრომლობა.

თავი 1.

უცვასთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაციები და მათი პრევენცია

1.1. კრიზისული სიტუაციები სკოლის გარემოში

მოსწავლის ქცევასთან დაკავშირებულ კრიზისულ სიტუაციად ჩაითვლება სკოლის პერიმეტრზე წარმოშობილი ნებისმიერი სიტუაცია, როდესაც მოსწავლე იქცევა ისე, რომ საფრთხე ექმნება მას, სხვებს ან სკოლის ფიზიკურ გარემოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრიზისული სიტუაცია იქმნება განსაკუთრებით მწვავე და საფრთხის შემცველი რთული ქცევების შედეგად. ეს არის ისეთი შემთხვევები, რომლის იგნორირებაც არამიზანშეწონილია და საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას გარშემომყოფების მხრიდან.

რთული ქცევა სკოლაში შეიძლება გამოვლინდეს როგორც განვითარების დარღვევებისა და ფსიქიკური აშლილობის მქონე მოსწავლის მიერ, ისე ტიპური განვითარების არასრულწლოვანის მიერ. ცხადია, ყველა სახის რთულ ქცევას არ მივყავართ ე.წ. კრიზისულ სიტუაციამდე სკოლის გარემოში. როგორც ზემოთ ითქვა, კრიზისულ სიტუაციას ქმნის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი

ქცევები, უკიდურესად მწვავე ემოციური გამოვლინებები და ფსიქიკური მდგომარეობები.

 **რა სახის ქცევამ შეიძლება მიგვიყვანოს კრიზისულ სიტუაციამდე?**

იმ ქცევათა რეპერტუარი, რომლებსაც მივყავართ კრიზისულ სიტუაციამდე, საკმაოდ ფართოა. მაგალითად, ასეთ ქცევებს მიეკუთვნება მოსწავლის მიერ განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

 **თვითდამაზიანებელი ქცევები** - საკუთარი სხეულის მიზანმიმართული დაზიანება (მაგ.: მოსწავლემ დაისერა სახე), თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების შესახებ მუქარა (მაგ.: მოსწავლე ამბობს, რომ გადახტება ფანჯრიდან), თვითმკვლელობის მცდელობა (მაგ.: მოსწავლემ გადაიჭრა ვენა), სიცოცხლისათვის სახიფათო ქმედება (მაგ.: მოსწავლე ავიდა სკოლის სახურავზე), თვითსტიმულაციის მიზნით სხეულის დამაზიანებელი ქმედებები (მაგ.: თავს ურტყამს კედელს) და სხვა.

 **სხვა პიროვნებაზე მიმართული ფიზიკური აგრესიის გამოვლინებები** - იარაღის გარეშე, ცივი იარაღით ან სხვა საგნების გამოყენებით.

 **ფიზიკური გარემოს დაზიანებაზე მიმართული ქმედებები.** მაგ.: სასკოლო ინვენტარის დამტვრევა, ხანძრის გაჩენის მცდელობა, მინების ჩამსხვრევა და სხვა.

☑ **შეუსაბამო სექსუალური ხასიათის ქცევები** - მას-ტურბაცია სხვების წინაშე, ინტიმურ ადგილებზე შეხება, თვალთვალი და სხვა.

☑ **ტანტრუმები და სხვა სახის უკიდურესად მწვავე რეაქციები** - კივილი, წივილი, ღრიალი, იატაკზე გაწოლა და ხელ-ფეხის ქნევა და სხვა.



1.2. პრევენციული ღონისძიებები

დღეისათვის, ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს სხვადასხვა სახის სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეს, მათ შორის ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვს, რომ მიიღოს განათლება თანატოლებთან ერთად. მაშასადამე, 21-ე საუკუნის სკოლას მეტი მზაობა და რესურსი უნდა გააჩნდეს მოსწავლეთა ქცევითი საჭიროებების საპასუხოდ.

უდავოდ კარგია, როდესაც სკოლის პერსონალი კარგად არის „აღჭურვილი“ რთული ქცევების მართვის ტექნიკებით და ახერხებენ მათთან გამკლავებას გამოვლენის შემთხვევაში, მაგრამ ალბათ ყველა დაგვეთანხმება, თუ ვიტყვით, რომ უმჯობესია თავიდანვე იქნას ზომები მიღებული ასეთი ქცევების განვითარების პრევენციისთვის. მაშასადამე, სკოლაში მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მხრიდან პრევენციული ტექნიკების ეფექტური გამოყენება რთულ ქცევებთან ბრძოლის საუკეთესო იარაღად შეიძლება მოვიაზროთ.



რატომ არის პრევენცია მნიშვნელოვანი?

სკოლის გარემოში რთული ქცევების პრევენციულ ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა აქვს კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით. მართალია, მოსწავლეების მიერ გამოვლენილ ყველა რთულ ქცევას არ მივყავართ კრიზისულ სიტუაციამდე, მაგრამ როგორი მსუბუქიც არ უნდა იყოს ის, გარკვეულ დისკომფორტს მაინც წარმოშობს სკოლაში და რაც მთავარია, ხელს უშლის თავად მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას. ამასთან, საწყის ეტაპზე ერთი შეხედვით „უწყინარი“ რთული ქცევა შეიძლება გადაიზარდოს უკიდურესად მწვავე ქცევაში და შექმნას უმართავი სიტუაცია. წარმოვიდგინოთ მოსწავლის მხრიდან გაკვეთილზე გამოვლენილი ვერბალური და ფიზიკური

აგრესიული ქმედებები, თვითდამაზიანებელი ქცევები, ტანტრუმები. მათი თავიდან აცილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან:

- ✓ ხელს უშლის სასწავლო პროცესს, შეიძლება გამოიწვიოს გაკვეთილების ჩაშლა;
- ✓ აჩენს შიშის განცდას, ქმნის „პანიკას“ გარშემოცოფებში;
- ✓ ერთი მოსწავლის მიერ გამოვლენილმა ქცევამ შეიძლება მოახდინოს ბევრი მოსწავლის ჩართვა კრიზისულ სიტუაციაში;
- ✓ საფრთხე ექმნება თავად მოსწავლეს ან სხვებს;
- ✓ სკოლის პერსონალისთვის იქმნება ძნელად სამართავი სიტუაცია;
- ✓ ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობაზე;
- ✓ ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსწავლის სოციალურ ურთიერთობებზე;
- ✓ შეიძლება ჰქონდეს სხვა ნეგატიური შედეგები.

 **რა უნდა გაკეთდეს კრიზისული სიტუაციების თავიდან ასაცილებლად?**

კრიზისული სიტუაციების პრევენცია შესაძლებელია შემდეგი გზებით:

- 😊 მოსწავლის რთული ქცევის გამოვლენის პრევენციით;
- 😊 მოსწავლის რთული ქცევის გამწვავების თავიდან აცილებით (დეესკალაციით);
- 😊 მოსწავლის რთული ქცევების მოდიფიკაციაზე (შეცვლაზე) მიმართული ინტერვენციით;

კრიზისული სიტუაციის პრევენცია რთული ქცევის პრევენციით - მაგალითი:

პედაგოგმა დაკვირვების საფუძველზე იცის, რომ როდესაც ერთ მერხზე სხედან, გიორგის და აკაკის უთანხმოება ხშირად მოსდით, რასაც თან სდევს ერთმანეთის სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური აგრესია (მუშტების ერთმანეთისთვის გამეჭვებით დარტყმა). ამის თავიდან ასაცილებლად პედაგოგმა გადაწყვიტა გიორგი და აკაკი ერთმანეთის მომორებით დასვას. შედეგად, გაკვეთილზე აღარ ხდება მოსწავლეებს შორის უთანხმოება.

კრიზისული სიტუაციის პრევენცია რთული ქცევის გამწვავების თავიდან აცილებით (დეესკალაციით) - მაგალითი:

პედაგოგმა შენიშნა, რომ გაკვეთილზე გიორგიმ და აკაკიმ რაღაცაზე დაიწყეს მწვავე კამათი. პედაგოგი დაუყოვნებლივ მიდის მოსწავლეებთან და ცდილობს პოზიტიური კომუნიკაციით გაარკვიოს კამათის მიზეზი. იგი ახერხებს, რომ ცხარე კამათი გადაიყვანოს დისკუსიაში.

კრიზისული სიტუაციის პრევენცია ქცევის მოდიფიკაციაზე მიმართული ინტერვენციით - მაგალითი:

რამდენადაც პედაგოგს შენიშნული აქვს, რომ გიორგის და აკაკის შორის სკოლაში ყოფნის პერიოდში ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაცია, რაც ხელს უშლის მოსწავლეებს სასწავლო პროცესში, გადაწყვიტა სკოლის ფსიქოლოგს სთხოვოს იმუშაოს მათი ურთიერთობის გაუმჯობესებაზე. ფსიქოლოგმა ფუნქციურად მათასა რთული ქცევები, დაინერგა ინტერვენციის გეგმა და 2 თვიანი ჩარევის შედეგად გიორგის და აკაკის შორის კონფლიქტური სიტუაციები აღმოიფხვრა.

რადგან ზოგადად რთული ქცევების პრევენცია თავისთავად აგვაშორებს ქცევასთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაციების აღმოცენებას სკოლის გარემოში, დეტალურად განვიხილოთ რთული ქცევების პრევენციული ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებები პირობითად შეიძლება გავაერთიანოთ 2 ძირითად კატეგორიაში: პირველი, რომელში შემავალი ქმედებებიც მიმართულია რთული ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორების იდენტიფიცირებასა და მათ მინიმუმამდე დაყვანაზე და მეორე, რომელიც გულისხმობს მოსწავლის მისაღები ქცევების მხარდაჭერას.

აღნიშნული მიდგომა ემყარება ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპებს, უფრო ზუსტად კი ABC მოდელს (A-Antecedent - წინაპირობა, B-Behaviour- ქცევა, C-Consequence -შედეგი), რომელიც გვეუბნება, რომ ქცევა აღმოცენდება გარკვეული წინაპირობების საპასუხოდ და მისი გამოვლენის ალბათობა გაიზრდება ან შემცირდება მიღებული შედეგების გავლენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია თავიდან ავირიდოთ რთული ქცევის გამოვლენა მის მაპროვოცირებელ წინაპირობებში „ჩარევით“ ან ქცევის შედეგების დონეზე ისეთი ინტერვენციით, რის საფუძველზეც მოხდება სოციალურად მისაღები ქცევების განმტკიცება, რაც საბოლოოდ ჩაანაცვლებს რთულ ქცევებს.

თუ მასწავლებელი კარგად იცნობს ბავშვს და იცის წარსულში რა ფაქტორები, რა წინაპირობები უწყობდა ხელს მოსწავლის რთული ქცევების აღმოცენებას, მაშინ მას შეუძლია დაფიქრდეს წინაპირობების შეცვლაზე და ამისკენ მიმართოს ძალისხმევა. რაც შეეხება ჩარევას შედეგების დონეზე, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ პრევენცია გულისხმობს რთული ქცევის გამოვლენის თავიდან აცილებას, მაშინ როგორ შეიძლება ჩაითვალოს შედეგების ეტაპზე ჩარევა პრევენციულ ღონისძიებად? საქმე იმაშია, რომ მართალია ამ გზით ვეღარ აღვკვეთავთ უკვე განხორციელებულ კონკრეტულ ქცევას, თუმცა ამ კონკრეტულ ქცევაზე სწორი რეაგირებით შეგვიძლია მოვახდინოთ მსგავსი ქცევების თავიდან აცილება მომავალში.

 **სკოლაში რთული ქცევების გამოვლენის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია:**

-  შექმნათ პოზიტიური ატმოსფერო საკლასო გარემოში;
-  მისდიოთ რუტინას და იყოთ თანმიმდევრული;
-  იქონიოთ კარგი კომუნიკაცია მოსწავლეებთან;
-  ხელი შეუწყოთ მოსწავლეთა კომუნიკაციური და სოციალური უნარების განვითარებას;
-  წინასწარ მიაწოდოთ ინფორმაცია იმ მისაღები ქცევების შესახებ, რისი მოლოდინიც გაქვთ და რასაც ითხოვთ მოსწავლეებისგან;

 მისცეთ გასაგებად ფორმულირებული მითითებები და ინსტრუქციები;

 შეიმუშაოთ წესები;

 გამოიყენოთ მოდელირება (თვითონ აჩვენოთ) და როლური თამაშები მისაღები ქცევების სწავლებისთვის;

 პოზიტიურად განამტკიცოთ მისაღები ქცევები;

 აქტიურად გაუწიოთ მეთვალყურეობა მოსწავლეებს;

 ხელი შეუწყოთ მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

 გამოუმუშავოთ პრობლემის გადაჭრისა და გამკლავების ადეკვატური უნარები;

 ასწავლოთ რთული ქცევების ჩამანაცვლებელი მისაღები ქცევები;


 გაზარდოთ თითოეული მოსწავლის აქტიურობა და ჩართულობის ხარისხი საგაკვეთილო პროცესში;

 თუ ხედავთ, რომ მოსწავლე ავლენს ისეთ სიგნალებს, რაც რთული ქცევის აღმოცენებას, ან ქცევის კიდევ უფრო გამწვავებას მოასწავებს, გამოიყენოთ ყურადღების გადატანის/ყურადღების გადანაცვლების სტრატეგია;

 განსაზღვროთ ფაქტორები, რამაც შეიძლება მოახდინოს რთული ქცევების პროვოცირება და შეეცადეთ მათ თავიდან არიდებას;

 განახორციელოთ პოზიტიური ქცევის მხარდამჭერი ინდივიდუალური გეგმები (ამისი საჭიროების და არსებობის შემთხვევაში);

 აქტიურად ითანამშრომლოთ სპეციალისტებთან, რომლებიც მუშაობენ ქცევის მართვაზე.



ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ ზოგიერთ მნიშვნელოვან პრევენციულ ღონისძიებაზე და მათი ეფექტური გამოყენების გზებზე.

გარდა იმისა, რომ სკოლას უნდა ჰქონდეს მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, რეკომენდებულია შემუშავდეს წესები ყველა კლასისათვის.

 **კლასის წესების შემუშავებისას გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:**

★ მოსწავლეები თვითონაც უნდა ჩაერთვნენ წესების შემუშავების პროცესში. თანამონაწილეობის განცდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამ შემთხვევაში მოსწავლეები უკეთესად გაიაზრებენ მოცემული წესის მნიშვნელობას და უფრო დაიცავენ მას.

★ წესები ფორმულირებული უნდა იყოს ბავშვისთვის გასაგები მარტივი ენით

★ წესები უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას გამოკრული. უმჯობესია ტექსტთან ერთად წარმოდგენილი იყოს ვიზუალური მიმანიშნებლებიც სიმბოლოების ან ნახატების სახით.

☆ წესების ნუსხა არ უნდა იყოს ძალიან გრძელი. ბევრი წესის დამახსოვრება შეიძლება გაუჭირდეთ ბავშვებს, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის კლასებში. წესების ოპტიმალური ოდენობა, საშუალოდ, არის 5.

☆ შესაძლებელია წესების შეცვლა, ან ახალი წესების შემოტანა ამისი საჭიროების შემთხვევაში (კვლავ მოსწავლეების თანამონაწილეობით)

☆ წესი უნდა იყოს გონივრული და შესრულებადი მოსწავლეთა ასაკის, განვითარების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით

☆ რეკომენდირებულია წესების ფორმულირება პოზიტიური ფორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს უნდა უთითებდეს იმას, თუ რა გააკეთოს, და არა იმას, თუ რისი გაკეთება არ შეიძლება. მაგალითად ნაცვლად წესებისა „არ იყვიროთ კლასში“, „არ ირბინოთ კლასში“, წესი უნდა იყოს ფორმულირებული შემდეგნაირად: „დაიცავით სიჩუმე“, „ისაუბრეთ დაბალ ხმაზე“, „ირბინეთ მხოლოდ დერეფანში შესვენებაზე“

☆ მასწავლებელმა უნდა შეახსენოს წესები მოსწავლეებს, გასცეს ინსტრუქციები და მითითებები მათ შესასრულებლად, წაახალისოს და განამტკიცოს წესების შესრულება სისტემატურად.

☆ მასწავლებელი უნდა იყოს სამართლიანი და თანმიმდევრული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველას თანა-

ბრად და სისტემატურად უნდა მოსთხოვოს წესების დაცვა. გამონაკლის შემთხვევებში უნდა გაესვას ხაზი რომ ეს გამონაკლისია და ამასთან, დაფიქსირდეს თუ რამ განაპირობა.

! **მოსწავლის ყურადღების გადატანა ეფექტური პრევენციული სტრატეგიაა.**

კიდევ ერთი გზა რთული ქცევის პრევენციისთვის არის ბავშვის ყურადღების გადატანა სხვა რამეზე, როდესაც მასწავლებელი ხედავს რთული ქცევის აღმოცენების მოსალოდნელობას. მაგალითად, მასწავლებელი როდესაც შენიშნავს, რომ მოსწავლეს მოუვიდა უთანხმოება მის გვერდით მჯდომ თანაკლასელთან, რაც შეიძლება გადაიზარდოს ვერბალურ ან ფიზიკურ აგრესიაში, სთხოვს მოსწავლეს მასთან მივიდეს და დაეხმაროს რვეულების შეგროვებაში. ამ გზით მასწავლებელი ცდილობს განმუხტოს სიტუაცია და თავიდან აირიდოს მოსწავლის იმპულსური გამოვლინება რთული ქცევის სახით.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ხშირად მოსწავლეები მაშინ ავლენენ რთულ ქცევას, როდესაც ნაკლებად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, პასიურად სხედან ან გაკვეთილი მათთვის არ არის საინტერესო. ამიტომ **მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ საგაკვეთილო პროცესი დატვირთული იყოს საინტერესო,**

მრავალფეროვანი, კრეატიული აქტივობებით, რომლებიც მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას საჭიროებს.



პრევენციისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლის უნარების განვითარებაზე მუშაობა.

სოციალური უნარების სწავლება და ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა ასევე მიზანშეწონილი სტრატეგიაა რთული ქცევების შესამცირებლად სკოლის გარემოში. აქ იგულისხმება ისეთი ქცევების სწავლება, რომელიც სოციალურად მისაღებია და გამოადგებათ არა მხოლოდ სკოლის სივრცეში, არამედ, სხვაგანაც მთელი ცხოვრების მანძილზე. ასევე, მნიშვნელოვანია, მუშაობა წარიმართოს მოსწავლეთათვის ბრაზისა და სტრესის მართვის, ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და კონფლიქტის გადაჭრის უნარების განვითარებაზე, რაშიც მასწავლებლებს სასურველია ფსიქოლოგებმა გაუწიონ დახმარება. აღნიშნული უნარების განვითარებაზე მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის.

და, ბოლოს, ყველასთვის ცნობილია, რომ ბავშვი ბევრ რამეს სხვისი ქცევის მოდელირებით, ანუ გამეორებით, მიბადვით სწავლობს. ამიტომ, მასწავლებელი უნდა აძლევდეს მას მისაღები ქცევების მაგალითს. თუ მასწავლებელი საკუთარ ბრაზს ვერ მართავს, უყვირის

და სალანძღავი სიტყვებით მოიხსენიებს მოსწავლეს, რომელიც ეურჩება, ეს კონკრეტული ქცევა ან, ზოგადად, პრობლემის მოგვარების აგრესიული ფორმა შეიძლება გახდეს მისაბამი ქცევა სხვა მოსწავლეებისთვისაც. მასწავლებელი, უმეტეს შემთხვევაში, ავტორიტეტია მოსწავლისათვის, და ბუნებრივია, მისი ქცევა ბავშვის მიერ აღიქმება როგორც მისაღები და მისაბამი.

თავი 2.

უცვის მართვა კრიზისული სიტუაციების დროს

2.1. კრიზისების მართვის გეგმა

კრიზისების მართვის გეგმა წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომელიც მისცემს სკოლას საშუალებას, მომზადებული შეხედეს და სათანადო რეაგირება მოახდინოს ნებისმიერ კრიზისულ ან გადაუდებელ სიტუაციაში.

ცხადია, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში მოსწავლის ქცევამ მიგვიყვანოს ისეთ გადაუდებელ სიტუაციამდე, როგორიცაა ხანძარი, ნგრევა, აფეთქება, სიცოცხლისათვის ზიანის მიყენება

და ა.შ. რა ზომებს უნდა მიმართოს ამ შემთხვევაში სკოლის პერსონალმა (მაგ.: უსაფრთხო ევაკუაცია, გადაუდებელი დახმარება, და ა.შ.), ამაზე აქ არ ვისაუბრებთ იმ იმედით, რომ სკოლას მსგავს სირთულეებთან გამკლავების რესურსი და მზაობა გააჩნია. მოცემულ გზამკვლევში ჩვენ ვფოკუსირდებით მხოლოდ იმ გეგმებზე, რომლებიც



მიმართული იქნება უშუალოდ მოსწავლის მიერ კრიზისული სიტუაციის გამომწვევი ქცევის მართვაზე.

ასეთი გეგმა როგორც წესი, იქმნება ინდივიდუალურად ყველა იმ მოსწავლისთვის, რომელთანაც იკვეთება ამისი საჭიროება, კერძოდ, მათთვის, ვისთანაც არსებობს მწვავე და საფრთხის შემცველი რთული ქცევების აღმოცენების რისკები.

საუკეთესო შემთხვევაში, კრიზისების მართვის გეგმის შედგენა ხდება სკოლის პერსონალის, ბავშვის ოჯახის წევრებისა და სპეციალისტების მონაწილეობით. (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოლოგისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა სპეციალისტების როლი, მით უფრო, თუ ბავშვს დასმული აქვს რაიმე სახის განვითარების დარღვევებისა და/ან ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი). შექმნის პროცესში აუცილებელია მშობლებთან და ოჯახის წევრებთან აქტიური თანამშრომლობა. კრიზისული სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებაში შეიძლება ჩაერთოს თავად მოსწავლეც, მისი განვითარების დონის გათვალისწინებით. საჭიროა გეგმის გამოყენების თაობაზე თანხმობის დადასტურება მშობლის ან კანონიერი მეურვის ხელმოწერით.

ქვემოთ წარმოდგენილია ნიმუში კრიზისების მართვის გეგმაში შემავალი კომპონენტების საილუსტრაციოდ. რა

თქმა უნდა, სკოლას შეუძლია შეიტანოს ცვლილებები არსებული საჭიროებების მიხედვით.

გეგმაში შემავალი კომპონენტი	აღწერილობა
ბავშვთან დაკავშირებული ინფორმაცია	მაგ.: შეიძლება მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: ✶ ბავშვის დემოგრაფიული მონაცემები ✶ კლასი ✶ დიაგნოზი, სპეციალური საჭიროებები ✶ ძლიერი მხარეები ✶ ინტერესები
ოჯახთან დაკავშირებული ინფორმაცია	მაგ.: ბავშვის მშობლების, ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია
ქცევების შესახებ ინფორმაცია	✶ მოსალოდნელი კრიზისული სიტუაციების გამომწვევი ქცევები ✶ ქცევის წინაპირობები, მაპროვოცირებელი და ხელშემწყობი მოვლენები; რა ახდენს ბავშვის ქცევის ესკალაციას (გამწვავებას) ✶ რა პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს
ინტერვენციის შესახებ ინფორმაცია	✶ რა სახის ჩარევა შეიძლება გახდეს საჭირო კრიზისული ინტერვენციისთვის ✶ იმ სტრატეგიებისა და ჩარევების შესახებ, რომლებმაც ეფექტურად იმუშავა წარსულში; მაგ.: რის შედეგად მშვიდდება ბავშვი, წყვეტს ქცევას და ა.შ

პროფესიონალები და სხვა მხარდამჭერი პირები	✶ მოცემულ პუნქტში ჩამოთვლილი იქნება ის სპეციალისტები და სხვა მხარდამჭერი პირები, რომელთა დახმარებაც საჭირო გახდება კრიზისული სიტუაციის დროს. მაგ.: ეს შეიძლება იყოს: ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, მანდატური, სოციალური მუშაკი, მშობელი, ოჯახის წევრი, კონკრეტული მასწავლებელი, სხვ. (ჩამონათვალთან ერთად მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო ტელეფონის ნომრებიც) ✶ სკოლას, ცხადია, ასევე შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მიმართოს საგანგებო სიტუაციების სამსახურს და მოითხოვოს შესაბამისი დამხმარე გუნდი (მაგ.: სასწრაფო, პატრული, სახანძრო-სამაშველო სამსახური)
უსაფრთხოება	მოცემული პუნქტი ასახავს იმ სიფრთხილის ზომებს, რაც უნდა გატარდეს მოსწავლესთან მიმართებაში. მაგ.: არ მიუწვდებოდეს ხელი ისეთ ნივთებზე, რითიც შეიძლება დაიზიანოს საკუთარი თავი ან დაიზიანოს სხვა, არ მიუწვდებოდეს ხელი მედიკამენტებზე, და სხვ.

კრიზისების მართვის გეგმის წერილობითი დოკუმენტს უნდა იცნობდეს ყველა პედაგოგი სკოლაში, რომელსაც შეიძლება მოუწიოს კრიზისულ სიტუაციასთან „შეჯახება“ და მისი მართვა (მაგ.: დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი). ბუნებრივია, მოსწავლის კრიზისული ქცევა მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, რომელთა წინასწარი განჭვრეტაც და, შესაბამისად, გეგმაში შეტანა ვერ მოხერხდება. მაგალითად, თვით-

დამაზიანებელი ქცევა კონკრეტულ მოსწავლესთან შეიძლება ერთ შემთხვევაში იყოს თავის დარტყმა კედელზე, მეორე შემთხვევაში სახის ჩამოფხაკა, მესამე შემთხვევაში საკუთარი თმების წიწკნა. მაშასადამე, ინდივიდუალური კრიზისების მართვის გეგმა შეიძლება არ მოიცავდეს ინფორმაციას კონკრეტული ფორმის ქცევის გამოვლენისას როგორ უნდა მოიქცეს პედაგოგი, თუმცა გეგმაში მაინც საკმარისი საორიენტაციო ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს მოსწავლის თვით-დამაზიანებელი ქცევების თავიდან აცილებისთვის, ან მათი გამოვლენის საპასუხოდ.

ქვემოთ წარმოდგენილია ინდივიდუალური კრიზისების მართვის გეგმის ნიმუში:

გეგმაში შემავალი კომპონენტი	აღწერილობა
ბავშვთან დაკავშირებული ინფორმაცია	★ სახელი, გვარი: ლიკა ა... ★ ასაკი: 10წ ★ კლასი IV ★ დიაგნოზი: აუტისტური სპექტრის აშლილობა ★ ძლიერი მხარეები: ინტელექტი ნორმის ფარგლებში, უმეტესად ასრულებს ინსტრუქციებს ★ ინტერესები: უყვარს ხატვა, შემოქმედებითი აქტივობები, სენსორულ ოთახში ყოფნა
ოჯახთან დაკავშირებული ინფორმაცია	დედა: ნანული... ტელ: 5XX XX XX XX მამა: ნუგზარი... ტელ: 5XX XX XX XX ბაბუა: ბონდო...ტელ: 5XX XX XX XX მისამართი: თბილისი,

ქცევების შესახებ ინფორმაცია	★ რთული ქცევაა: მაღალ ხმაზე კივილი გაკვეთილზე, თავში, საფეთქლის და ყურების მიდამოში ხელების რტყმა, ძლიერი რწევა სკამზე ★ უმეტესად ქცევების მაპროვოცირებელია ნახევარ საათზე მეტი ხნის მანძილზე კლასში ჯდომა, სხვა მოსწავლეების ან მასწავლებლის შეხება თავზე და მხარზე, განსაკუთრებით მაშინ თუ 5 წამზე მეტი გაგრძელდა ★ სენსორულ ოთახში ბავშვის წაყვანა ან მისთვის ხატვის საშუალების მიცემა ამშვიდებს და წყვეტს ზემოთ ჩამოთვლილ ქცევებს
ინტერვენციის შესახებ ინფორმაცია	★ პრევენციისთვის სპეციალურმა მასწავლებელმა გაკვეთილის დაწყებიდან 20 წთ-ის შემდეგ ლიკა უნდა გაიყვანოს სენსორულ ოთახში (რთული ქცევის დაწყებამდე) ★ მოსწავლეები და ლიკას მასწავლებლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ რომ ლიკას არ სიაშოვნებს ფიზიკური კონტაქტი და ერიდონ ამას. ★ როგორც კი შენიშნავენ, რომ ლიკა გაკვეთილის მსვლელობისას იწყებს სტერეოტიპულ და თვითდამაზიანებელი ქცევების გამოვლენას, მასწავლებელი მიდის მასთან, ამშვიდებს სიტყვიერად, ცდილობს გაიგოს ქცევის დაწყების მიზეზი, ცდილობს ყურადღების გადანაწილ ქცევის შეწყვეტას და შემდეგ სთავაზობს სენსორულ ოთახში წასვლას ან სახატავ საშუალებებს.
პროფესიონალები, მხარდამჭერი პირები	★ სპეც. მასწავლებელი - ნანა ა. ტელ... ★ ფსიქოლოგი - თამუნა გ. ტელ...
უსაფრთხოება	არსებობს სკამის წაქცევის და ლიკას დავარდნის რისკი ძლიერი რწევისას

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, კრიზისების მართვის გეგმა უმეტესად ინდივიდუალურია, ანუ იქმნება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე, კერძოდ, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ერთხელ მაინც გამოუვლენიათ მწვავე რთული ქცევა ან არსებობს ამისი მაღალი რისკები. თუმცა, ცხადია, ვერ გამოვრიცხავთ იმას, რომ კრიზისული სიტუაცია შეიძლება შექმნას იმ მოსწავლის ქცევამაც, რომელსაც წარსულში არ ჰქონია რთული ქცევები და არც რაიმე რისკების განჭვრეტა იყო შესაძლებელი. სწორედ ასეთი შემთხვევების მართვისთვისაა მიზანშეწონილი პერსონალს ჰქონდეს გარკვეული მზაობა. ამისათვის **შეიძლება სკოლამ შექმნას ზოგადი კრიზისების მართვის გეგმის დოკუმენტიც**, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რეკომენდებული ქმედებების ნუსხა და სხვა საჭირო ინფორმაცია. მაგალითად, ასეთ გეგმაში მითითებული იქნება მოსწავლეთა აგრესიული ქმედებების დროს ჩარევის რა მეთოდების გამოყენება შეუძლია პედაგოგს, სკოლის პერსონალიდან ვის უნდა მიმართოს დახმარებისთვის და ა.შ.

2.2. კრიზისული ინტერვენციის სპეციფიკა

სკოლის გარემოში რთული ქცევის აღმოცენება არ ნიშნავს იმას, რომ პრევენციული ღონისძიებები საერთოდ არ გატარებულა, ან „ეს ვინმეს ბრალია“. რთული ქცევა სასკოლო გარემოში შეიძლება გამოვლინდეს ყოველგვარი წინასწარი პროგნოზის გარეშე, მოულოდნელად და თვალსაჩინო მაპროვოცირებელი ფაქტორების არ არსებობის ფონზეც.



როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, როდესაც ხედავს მოსწავლის რთულ ქცევას? უპირველეს ყოვლისა, მას მოუწევს მყისიერად შეაფასოს სიტუაცია, განსაზღვროს რამდენად მწვავეა ქცევა, ხომ არ უქმნის ფიზიკურ საფრთხეს თვითონ ქცევის განმახორციელებელ მოსწავლეს ან სხვებს, რამდენად არის საჭირო გადაუდებელი დახმარება, შეუძლია თუ არა გაუმკლავდეს სიტუაციას საკუთარი ძალებით, მოიხმოს თუ არა დამხმარე სპეციალისტები და ა.შ.



რეაგირების შესახებ გადანყვეტილების მიღებისას უპირველესად უნდა მოხდეს უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინება!

როდესაც ინტერვენციაზე/ჩარევაზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორი სახის ინტერვენცია: ქცევის პატერნის მოდიფიკაციაზე მიმართული ანუ თერაპიული ინტერვენცია და კრიზისული ინტერვენცია. პირველ შემთხვევაში ინტერვენცია წარმოადგენს სპეციალისტების მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით წარმოებულ განგრძობით ჩარევას, რაც როგორც წესი, მიმართულია მოსწავლის სამიზნე ქცევის მოდიფიკაციაზე და საჭიროებს გარკვეულ დროს შედეგის მისაღწევად. კრიზისული ინტერვენცია კი მოიაზრებს მყისიერ რეაგირებას რთული ქცევით გამოწვეული კრიზისული სიტუაციების ანუ ე.წ. გადაუდებელი სიტუაციების დროს. მაშასადამე, **კრიზისული ინტერვენცია ხორციელდება უშუალოდ მწვავე რთული ქცევის არსებობისას** და ძირითადად გამოიყენება:



საკუთარი თავის ან სხვების დაცვის, მათ შორის, ფიზიკური ზიანის თავიდან აცილების მიზნით;



მოსწავლის მიერ თვით-დაზიანების თავიდან ასაცილებლად;



მოსწავლის ხელში არსებული ცივი იარაღის ან სხვა სახიფათო ნივთების მოსაცილებლად;



ფიზიკური გარემოს ან ქონების სერიოზული დაზიანების თავიდან ასაცილებლად;



ქცევის მოდიფიკაციაზე მიმართული ინტერვენციის მაგალითი:

ლაშა სწავლობს საჯარო სკოლის მე-4 კლასში. მასწავლებლის გადმოცემით, იგი კონფლიქტური მოსწავლეა, ხშირად შედის კამათში თანაკლასელებთან, მიმართავს მათ უცენზურო სიტყვებით და ფრანგებით, ემუქრება მათ ფიზიკური ძალის გამოყენებით („გცემ“) „გაგიხეთქავ თავს“) ან ნივთების დაზიანებით („დაგიხევ მაგ წიგნს“, „დაგისვრი ჩანთას“). დაკვირვება აჩვენებს, რომ მოცემულ ქცევებს ის ძირითადად ავლენს ბიჭებთან და მაშინ როდესაც, ვინმე არ ემორჩილება მას, უარს ამბობს მის მოთხოვნებზე.

მოცემულ შემთხვევაში ინტერვენციის გეგმა შედგება წინაპირობებისა და ქცევის შედეგების ანალიზის საფუძველზე. ის მიმართული იქნება კომუნიკაციური და სოციალური უნარების განვითარებაზე, რაც დაარეგულირებს ურთიერთობას თანატოლებთან. შესაძლოა ინტერვენციის პროცესში საჭირო გახდეს იმ თანატოლებთან მუშაობაც, რომლებიც ხშირად ახდენენ ლაშას არასასურველი ქცევების პროვოცირებას ან განმტკიცებას. მოცემულ შემთხვევაში, ინტერვენცია ატარებს არა ერთჯერად, არამედ კარგად დაგეგმილ, დროში გაწერილ ხასიათს, რომელიც მიმართული იქნება ლაშას პოზიტიური ქცევების მხარდაჭერაზე.

კრიზისული ინტერვენციის მაგალითი:

ერთ დღეს მასწავლებელი შედის კლასში და ხედავს, რომ ლაშამ წაართვა მათემატიკის წიგნი მის გვერდით მჯდომ თანაკლასელს და ხევს ფურცლებს. თანაკლასელი ცდილობს ხელიდან გამოგლიჯოს წიგნი, მაგრამ ვერ ახერხებს. მასწავლებელი ინარჩუნებს სიმშვიდეს, თუმცა ჩქარი ნაბიჯით მიემართება ლაშასკენ, ართმევს წიგნს დადანაშაულების გარეშე, მხოლოდ ამბობს რომ წიგნებს გაფრთხილება სჭირდება, უბრუნებს წიგნს პატრონს და შემდეგ ცდილობს პოზიტიური კომუნიკაციის გზით გაარკვიოს რა მოხდა მოსწავლეებს შორის ისეთი, რამაც ლაშას ქცევის პროვოცირება მოახდინა. და ბოლოს, მასწავლებელი ცდილობს დაანახოს მოსწავლეებს არსებული პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზა და განმუხტოს კონფლიქტური სიტუაცია.

კრიზისული ინტერვენციის დაწყებამდე მასწავლებელს მოუწევს გააანალიზოს გარკვეული ასპექტები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება ჩარევაზე. რამდენადაც კრიზისული სიტუაცია თავისი არსით გადაუდებელ სიტუაციას გულისხმობს, ცხადია, მასწავლებელს დიდი დრო არ ექნება ფიქრისთვის. თუმცა მან კონკრეტული სახის ჩარევის დაწყებამდე უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

-  რას წარმოადგენს მოცემული სიტუაცია?
-  რა საჭიროება აქვს მოსწავლეს?
-  რა შეიძლება მოხდეს?
-  მე რისი გაკეთება მჭირდება?
-  რა შეიძლება მოსწავლემ ამის შემდეგ გააკეთოს?
-  რა მოხდება მე თუ რამეს გავაკეთებ?
-  რა მოხდება მე თუ არაფერს გავაკეთებ?
-  რა ვიცი ფიზიკური გარემოს შესახებ?
-  რა ვიცი გარშემომყოფების შესახებ?
-  რა ვიცი ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ?
-  რა წერია კრიზისების მართვის გეგმაში? (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მოცემულ კითხვებზე პასუხები დაეხმარება მასწავლებელს გაცნობიერებულად მიიღოს გადაწყვეტილება თუ რა სახით ჩაერიოს სიტუაციაში.




მწვავე რთული ქცევის გამოვლენისას პირველ რიგში გარშემომყოფები უნდა შეეცადონ, რომ მოსწავლის ქცევის აღკვეთა მოახდინონ პოზიტიური და ნაკლებად შემზღუდველი მეთოდებით.

კრიზისული ინტერვენციისას ჩარევის ისეთი პროცედურა უნდა იქნას გამოყენებული, რომელიც მოსწავლის მინიმალურ დისკომფორტთან იქნება დაკავშირებული, რათა არ მოხდეს მოსწავლისთვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება

არაშემზღუდველი ტექნიკები მიმართულია მოსწავლის დამშვიდებაზე

სიტუაციის ესკალაციამდე (გამწვავებამდე). მაშასადამე, ასეთი ტექნიკები როგორც წესი, გამოიყენება ფიზიკურ ინტერვენციამდე (ზოგ შემთხვევაში

იმდენად ეფექტური შეიძლება იყოს, რომ ფიზიკური ინტერვენციის საჭიროება აღარც დადგეს). ასეთი ტექნიკები სხვადასხვაგვარია და შეირჩევა სიტუაციის შესაბამისად. მოცემულ ტექნიკებს მიეკუთვნება პროაქტიული ანუ პრევენციული ღონისძიებები. მათი გამოყენება მიზანშეწონილია არა მარტო კრიზისული ინტერვენციის მართვისას, არამედ რეგულარულად, რთული ქცევების მქონე მოსწავლეებთან ინტერაქციის დროს.



მაინც რას მოიცავს ზემოთ ხსენებული ტექნიკები? ბავშვებიყოველთვისვერახერხებენთავიანთიფიქრების, გრძნობებისა და ემოციების გადმოცემას კომუნიკაციის გზით. მათ ასევე შეიძლება გაუჭირდეთ იმის გაგება, თუ რას ითხოვენ გარშემომყოფები მათგან. კრიზისული სიტუაციის საწყის ეტაპზე მასწავლებლის არა ნეგატიურმა, არამედ თანამგრძნობმა და მხარდამჭერმა მიდგომამ და კომუნიკაციის ხელშეწყობამ შეიძლება მოახდინოს სიტუაციის დეესკალაცია.



დეესკალაციისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:



მოსწავლესთან ისაუბრეთ მშვიდი ტონით;



გამოიყენეთ მითითებები, მტკიცე, მაგრამ არა უხეში ფორმით;



მითითება, ინსტრუქცია უნდა იყოს ფორმულირებული პოზიტიური ფორმით და არა აკრძალვითი (მაგ. ნაცვლად ინსტრუქციისა, „არ ჩაარტყა სახაზავი“, უთხარით „დადე სახაზავი გთხოვ“);



მძაფრი რეაქციებისგან თავი შეიკავეთ;



მოუსმინეთ მოსწავლეს, წააქეზეთ ისაუბროს მომხდარის მაპროვოცირებელ გარემოებაზე;



გამოხატეთ დახმარების მზაობა, კითხეთ რით შეგიძლიათ დახმარება;

- არ დაუწყოთ კამათი, არ დაადანაშაულოთ;
- დაეხმარეთ ალტერნატიული გამოსავლის მოძებნაში;
- შეეცადეთ სიტუაციის განმუხტვას ყურადღების სხვა საკითხზე გადატანით, ქმედების მიმართულების შეცვლით.

მასწავლებლის არასწორი ჩარევის ნიმუში:

ერთ დღეს, მასწავლებელი შედის კლასში და ხედავს, რომ ლაშამ წაართვა მათემატიკის წიგნი მის გვერდით მჯდომ თანაკლასელს და ხევს ფურცლებს. თანაკლასელი ცდილობს ხელიდან გამოგლიჯოს წიგნი, მაგრამ ვერ ახერხებს. მასწავლებელი დანახვისთანავე იწყებს ყვირილს „რას აკეთებ ლაშა, არ გცხვენია? აი ეხლა მეც მოვალ და დაგიხვე შენ წიგნს, მოგეწონება?“ ართმევს წიგნს და ყვირილით განაგრძობს: „რა მოხდა გამაგებინეთ ასეთი, რა დაგემართათ სწრაფად მომიყვით ყველაფერი, სანამ დირექტორთან წამიყვანიხართ ორივე“.

მასწავლებლის ასეთმა ჩარევამ მართალია აღკვეთა ქცევა, წიგნი მასწავლებლის ხელში გადავიდა და მისი დახვევის საფრთხე მოცემულ მომენტში აღარ არსებობს, მაგრამ მსგავსი მიდგომა ვერ ჩაითვლება სწორად, ის არ განმუხტავს სიტუაციას, პირიქით, შეიძლება კიდევ უფრო გაამძაფროს სიტუაცია, მოსწავლეებში გააჩინოს შიში მასწავლებლის მიმართ, ან ბრამის ახალი ტალღა, მიმართული ერთმანეთზე ან მასწავლებლებზე. და რაც მთავარია, ის კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეებსაც და სხვა ბავშვებსაც აჩვენებს, რომ ყვირილი და მუქარა დასაშვებია, თუ ეს საჭიროა მიზნის მისაღწევად.

სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილი იქნებოდა მასწავლებლის არა ასეთი, არამედ ქვემოთ წარმოდგენილი რეაგირება. მასწავლებელი ინარჩუნებს სიმშვიდეს, თუმცა ჩქარი ნაბიჯით მიემართება ლაშასკენ, ართმევს წიგნს დადანაშაულების გარეშე, მხოლოდ ამბობს რომ წიგნებს გაფრთხილება სჭირდება, უბრუნებს წიგნს პატრონს და შემდეგ ცდილობს პოზიტიური კომუნიკაციის გზით გაარკვიოს რა მოხდა მოსწავლეებს შორის ისეთი, რამაც ლაშას ქცევის პროვოცირება მოახდინა. და ბოლოს, მასწავლებელი ცდილობს დაანახოს მოსწავლეებს არსებული პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზა და განმუხტოს კონფლიქტური სიტუაცია

იმისათვის, რომ მოსწავლის ქცევა არ გახდეს უმართავი, არსებული ვითარება არ გადავიდეს კრიზისულ სიტუაციაში და მართივად მოხდეს მოსწავლის ქცევის დარეგულირება, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელს დიდი ყურადღება მართებს რათა დროულად შენიშნოს მოსალოდნელი კრიზისის საფრთხე და პრევენციულ ზომებს მიმართოს.

2.3. ფიზიკური ინტერვენცია



თუ მწვავე რთული ქცევის აღკვეთა ვერ ხერხდება ნაკლებად შემზღუდველი ტექნიკების გამოყენებით, ან ამისი გადაუდებელი საჭიროება არსებობს, მასწავლებელს შეიძლება მოუწიოს გარკვეული სახის ფიზიკური ჩარევა და შემზღუდველი ტექნიკების გამოყენება. წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც ერთ-ერთი მოსწავლე ფიზიკურად უსწორდება მეორეს, გამეტებით ურტყამს მუშტებს და წიხლებს თანაკლასელს, ან ვხედავთ რომ დანა უჭირავს და მიემართება სხვა მოსწავლისკენ. ეს არის სიტუაცია, რომლის დარეგულირებაც ფიზიკური ჩარევის გარეშე ძნელი წარმოსადგენია.

შემზღუდველი ტექნიკების სხვადასხვა სახე არსებობს. ეს არის ისეთი ტექნიკები, რომლებითაც ხდება პიროვნების მოძრაობების შეზღუდვა. ასეთ ტექნიკებს მიეკუთვნება მექანიკური (მაგ.: ხელების შეკვრა), ქიმიური (მაგ. მედიკამენტებით) და მანუალური (ხელის გამოყენებით) ფიზიკური ინტერვენცია. სკოლის გარემოში მოსწავლის ქცევის მართვისთვის მიზანშეწონილი არ არის მექანიკური და ქიმიური შემზღუდველი ტექნიკების გამოყენება. დასაშვებია მხოლოდ მანუალური ფიზიკური ჩარევა და ისიც სპეციალური წესების და პრინციპების დაცვით.

რამდენადაც შემზღუდველი ტექნიკების გამოყენება გარკვეულ რისკებს შეიცავს და სიფრთხილეა საჭირო, ბევრ ქვეყანაში სკოლის პერსონალს სპეციალური ტრენინგები უტარდება, რის შედეგადაც ისინი სწავლობენ ფიზიკური ჩარევის სხვადასხვა ტექნიკის სათანადოდ გამოყენებას. გარდა ამისა, არსებობს რეგულაციებიც, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ინტერვენცია საგანმანათლებლო სივრცეში.

 რაც არ უნდა განაფული იყოს შემზღუდველი ტექნიკების გამოყენებაში, გახსოვდეთ, ფიზიკური ჩარევა უკიდურეს ზომას წარმოადგენს და მისი გამოყენება არამიზანშეწონილია თუ არ არის ამის აუცილებლობა და სხვა გზითაც შეიძლება მოსწავლის რთული ქცევის აღკვეთა

რას მოიცავს ფიზიკური ინტერვენციის ტექნიკები, რომლებიც გამოიყენება სკოლის გარემოში? აღნიშნული ტექნიკებით პერსონალი მოსწავლესთან პირდაპირი ფიზიკური კონტაქტის გზით ცდილობს მართოს მოსწავლის მოქმედებები, კერძოდ, შეაჩეროს მოსწავლე რათა არ დაიზიანოს თავი, არ დააზიანოს სხვა, ან ფიზიკური გარემო. ფიზიკური მართვის ტექნიკები გამოიყენება მხოლოდ მაშინ როდესაც დიდია ფიზიკური ზიანის რისკი. მოცემულ კატეგორიაში არ შედის მოსწავლესთან ფიზიკური კონტაქტის ისეთი სახეები, რომელსაც განსხვავებული მიზანი აქვს, მაგალითად, მოტორული შეზღუდვის მქონე მოსწავლისათვის ფიზიკური დახმარება მოძრაობების უკეთ განხორციელების მიზნით.

სკოლის გარემოში დასაშვები ფიზიკური ჩარევის ტექნიკები 2 კატეგორიაში ერთიანდება. ესენია საკუთარი თავის დაცვაზე მიმართული და ისეთი ტექნიკები, რომლებიც მიმართულია მოსწავლის გადაადგილებასა და თვითკონტროლის უნარის აღდგენის ხელშეწყობაზე.

პირველ კატეგორიაში შემავალი ტექნიკა გულისხმობს დამცველობით ფიზიკურ მანევრირებას, რომელიც იცავს პოტენციურ მსხვერპლს აგრესიული ქმედებების შედეგად ზიანის მიყენებისგან. მოცემული ტექნიკა როგორც წესი გამოიყენება სხვა სტრატეგიებთან ერთად, როგორიცაა დეესკალაციის ტექნიკა და სხვა პროაქტიული მეთოდები.

პირველ კატეგორიაში შემავალი ერთ-ერთი ტექნიკაა დაბლოკვა. დაბლოკვა წარმოადგენს თავდაცვით მანევრირებას როდესაც ადამიანს ურტყამენ ან ესვრიან ნივთებს. დაბლოკვა ყველაზე ნაკლებად შემზღუდველ ტექნიკას წარმოადგენს.

! მოსწავლის თქვენ მიმართ განხორციელებული აგრესიული ქმედებების დაბლოკვისას, გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები:

- 😊 იყავით ერთი ნაბიჯით წინ აგრესიული ქმედების განმახორციელებელი პიროვნებისგან;
- 😊 იყავით ფიზიკურად და ყურადღებით დააკვირდით, რათა ამოიცნოთ მოსალოდნელი აგრესიული ქმედებები;
- 😊 არ მოამწყვდიოთ პიროვნება კუთხეში და არც თქვენ დადგეთ კუთხეში;
- 😊 შეინარჩუნეთ წონასწორობა და დაიცავით სხეულის ნაწილები, პირველ რიგში სახე და თავი;
- 😊 სხეულის პოზიცია და დგომის მანერა კრიტიკულ მნიშვნელობას ატარებს. წონასწორობის შესანარჩუნებლად ოდნავ განზე გადგით ფეხები. მოადუნეთ ხელები და ტანი;
- 😊 აკონტროლეთ თქვენი სხეულის პოზა და ემოციური გამოვლინებები, და აგრძნობინეთ მოსწავლეს, რომ მზად ხართ მოუსმინოთ და დაეხმაროთ თვით-კონტროლის აღდგენაში;

რაც შეეხება მეორე კატეგორიაში შემავალ ტექნიკებს, რომლებიც მიმართულია პიროვნების გადაადგილებასა და თვითკონტროლის აღდგენის მხარდაჭერაზე, უნდა იქნას გამოყენებული, როგორც უკიდურესი ზომა, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. ეს არის ტექნიკები, რომელიც გულისხმობენ ფიზიკურ მანევრირებას მოსწავლის მოძრაობების და ქმედებების ფიზიკური კონტროლისთვის, რათა არ მოხდეს გარშემომყოფების ან ქონების დაზიანება. მაგალითად, ამ დროს ხდება მოსწავლის გაკავება ერთ ადგილზე, მოსწავლის გადაყვანა უსაფრთხო ადგილას, მოსწავლის ქმედებების კონტროლი მისი სხეულის პოზისა და მოძრაობების გაკონტროლებით.

მათი გამოყენებისას მეტი სიფრთხილეა საჭირო, რადგან:

- ✓ ხდება მოსწავლის „პირად სივრცეში შეჭრა“
- ✓ იზღუდება მოსწავლის თავისუფალი მოძრაობების უფლება
- ✓ ფიზიკური კონტროლის ტექნიკები ზრდის ფიზიკური ზიანის მიყენების რისკს, როგორც თქვენ, ისე მოსწავლის შემთხვევაში
- ✓ ქცევის აღსაკვეთად ფიზიკური კონტროლის გამოყენებას შეიძლება ჰქონდეს არაპროგნოზირებადი გვერდითი ეფექტები. მაგ.: ამან შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს მოსწავლის ქცევა, დაღი დაასვას მოსწავლის

და თქვენს შორის ურთიერთობას, მოსწავლის მიერ თქვენი ქმედება შეიძლება იყოს აღქმული როგორც შეურაცხყოფელი, დამამცირებელი და არაჰუმანური ქმედება თქვენი მხრიდან.

! ფიზიკური ინტერვენციის გაგრძელება არ არის მიზანშეწონილი და მისი დაუყოვნებლივ შეწყვეტა გახდება საჭირო თუკი თავს იჩენს ფიზიკური მდგომარეობის გაუარესების ნიშნები და სიმპტომები. მაგ.:

- 💡 სუთქვის გაძნელება
- 💡 ძლიერი ხველა
- 💡 კანის ფერის მნიშვნელოვანი ცვლილება
- 💡 პირღებინება
- 💡 გულმკერდის არეში ძლიერი ტკივილი
- 💡 სისხლდენა
- 💡 გულყრა/კრუნჩხვა
- 💡 შარდის ბუშტის უნებლიე დაცლა ან დეფეკაცია

! ფიზიკური ინტერვენციის გამოყენება არ ჩაითვლება სწორად შემდეგ შემთხვევებში:

- ✿ როცა სავსებით შესაძლებელია ქცევის აღკვეთა სხვა, ნაკლებად შემზღუდველი მეთოდებით
- ✿ როცა მასწავლებელი ფიზიკურ ინტერვენციას იყენებს დისციპლინის დასამყარებლად, წესების და მისი

მითითებების შესასრულებლად, საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებისთვის, საკუთარი ბრაზის ემოციის შედეგად

✿ როცა აშკარაა, რომ ფიზიკური ჩარევა უარეს შედეგს მოიტანს

✿ როცა ფიზიკური ინტერვენცია ხორციელდება პირის მიერ, რომელსაც არ აქვს გავლილი სპეციალური ტრენინგები.

2.4. რეკომენდაციები კრიზისული სიტუაციების გამომწვევი კონკრეტული ქცევების მართვისთვის

ზემოთ მიმოვიხილეთ ზოგადად კრიზისული სიტუაციების მართვის სხვადასხვა ტექნიკები, ახლა კი საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ კონკრეტულ რეკომენდაციებს ისეთ მნიშვნელოვან ქცევებთან მიმართებაში, როგორიცაა: ტანტრუმი, სუიციდის მცდელობა და მეორე პირის წინააღმდეგ მიმართული ფიზიკური აგრესია.

ტანტრუმი და მწვავე ემოციური გამოვლინებები

რამდენადაც ტანტრუმი 2-5 წლის ასაკის ბავშვებისათვის არის დამახასიათებელი, სკოლის გარემოში იშვიათად ვხვდებით. თუმცა მოცემულმა ქცევამ შეიძლება მაინც იჩინოს თავი, დაწყებით კლასებში ან სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან.

✓ კარგად გაიცანით მოსწავლე, ესაუბრეთ ემოციებზე. ასწავლეთ ნეგატიური ემოციების და სურვილების მისაღები გზით გამოხატვა.

✓ დააკვირდით რა ახდენს ტანტრუმის პროვოცირებას, რას ემსახურება ის. შეეცადეთ მინიმუმამდე დაიყვანოთ მაპროვოცირებელი ფაქტორები და აღკვეთოთ მანამ, სანამ, უშუალოდ ტანტრუმის ქცევა გამოვლინდება

✓ როცა ატყობთ, რომ მოსწავლის ქცევა ტანტრუმში გადაიზრდება, შეეცადეთ მისი ყურადღების გადატანას. ნეგატიური ემოციებიდან ყურადღების გადატანა დაეხმარება მოსწავლეს დამშვიდებაში.

✓ როცა ხედავთ, რომ დაიწყო ტანტრუმი, თქვენი უპირველესი ამოცანაა უსაფრთხოების შენარჩუნება როგორც მოცემული მოსწავლისთვის, ისე სხვებისთვის. მაგალითად ტანტრუმის დროს იატაკზე გაწოლილმა ბავშვმა შეიძლება აქეთ იქით იბრუნოს, ან ისროლოს ნივთები. ამ შემთხვევაში უსაფრთხოების მიზნით მოგიწევთ მოარიდოთ ბასრი და სახიფათო საგნები.

✓ შეინარჩუნეთ სიმშვიდე, იფიქრეთ იმაზე, რომ შესაძლოა მოსწავლე ტანტრუმის გზით ახდენდეს საკუთარ განცდებთან გამკლავებას, სტრესის და შფოთვის გარეთ გამოტანას. ამ დროს მასწავლებლის გაბრაზებამ და საყვედურებმა შეიძლება არათუ შეამსუბუქოს, არამედ გაამწვავოს კიდევ სიტუაცია.

✓ თუ ტანტრუმი ემსახურება სხვების ყურადღების ან სასურველის მიღებას, რეკომენდებული იქნება დაგეგმილი იგნორირების ტექნიკის გამოყენება. ეს არის ქცევის მართვის ერთ-ერთი ტექნიკა, რომელიც გულისხმობს არასასურველი ქცევის გამოვლენისას მის იგნორირებას, ანუ ყურადღების არ მიქცევას. მოცემული ტექნიკის გამოყენებისას ასევე ხდება ალტერნატიული, მისაღები ქცევის განმტკიცება.

✓ მიეცით ბავშვს საშუალება „დაიცალოს“ , თქვენ კი შეეცადეთ შეინარჩუნოთ სხვა მოსწავლეების ყურადღება თქვენზე და საკლასო აქტივობებზე და არა თანაკლასელის ტანტრუმზე. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, თუმცა არა შეუძლებელი.

✓ ტანტრუმის დასრულების შემდეგ ესაუბრეთ ბავშვს მისი ქცევის შესახებ, ოღონდ ისე რომ იყოთ მხარდამჭერი, თანამგრძნობი და არა გამკიცხავი. აუხსენით რა არის მისაღები ქცევა ნეგატიური განცდების, იმედგაცრუების გამოსახატავად და რა მიუღებელი.

✓ და, ბოლოს, თუ მოსწავლის ტანტრუმის ქცევას განმეორებითი ხასიათი აქვს, მოახდინეთ რეფერირება ფსიქოლოგთან (მშობლების ინფორმირებითა და თანამონაწილეობით).

ფიზიკური აგრესიის გამოვლინება

სკოლის გარემოში ფიზიკური აგრესიის მრავალგვარი გამოვლინების მომსწრენი შეიძლება გახდეთ დაწყებული მსუბუქი აგრესიული ქმედებიდან (მაგალითად წამორტყმა), დამთავრებული უკიდურესად მწვავე ძალადობრივი ქმედებით. ჩვენ აქ შევხებით მხოლოდ ისეთ სიტუაციებს, რომლებშიც მონაწილეობს ორი ან მეტი პირი (ანუ აქ არ ვისაუბრებთ ავტო-აგრესიაზე - საკუთარი თავის მიმართ აგრესიაზე). მოცემულ სიტუაციაში შეიძლება შევხვდეთ მონაწილეთა „როლების“ სხვადასხვა ვარიაციებს: „აგრესორი“ და „პასიური მსხვერპლი“, „აგრესორი“ და „აგრესორი“, „აგრესორი და „მსხვერპლი, რომელიც თავს იცავს აგრესიული ქცევებით“ და სხვ. ნებისმიერ შემთხვევაში, სიტუაციის იგნორირება არ არის რეკომენდებული და მასწავლებლის მხრიდან მყისიერ რეაგირებას საჭიროებს.



✿ დანახვისთანავე, დაუყოვნებლივ, მტკიცე ტონით მიაწოდეთ ინსტრუქცია აგრესიული ქცევის განმახორციელებელ მოსწავლე(ებ)ს რომ შეწყვიტონ ასეთი ქცევა.

✿ თუ თქვენმა სიტყვიერმა მოთხოვნამ შედეგი არ გამოიღო (რაც სავსებით მოსალოდნელია მსგავს სიტუაციებში), მოგიწევთ ფიზიკური ჩარევა მოსწავლეთა გაშვებისთვის.

✿ თუ მოსწავლე იმდენად აგრესიულია, რომ მისი ქცევები უკონტროლოა, შესაძლოა საჭირო გახდეს ფიზიკური ინტერვენციის, კერძოდ, მისი ქმედებების შემზღუდველი და თავდაცვის ტექნიკების გამოყენებაც.

✿ თუ მოსწავლეს უჭირავს რაიმე სახიფათო ნივთი, მაგ.: დანა, შუშის ნამსხვრევი, სანთებელა და ა.შ. მათი გამორთმევა უმნიშვნელოვანესია, რათა თავიდან აირიდოთ თქვენი ან მსხვერპლის დასახიჩრება. მოცემულ მომენტში უდიდესი სიფრთხილე გმართებთ.

✿ თუ ფიქრობთ, რომ თქვენი ფიზიკური შესაძლებლობებით სიტუაციას მარტო ვერ გაუმკლავდებით, დასახმარებლად დაუყოვნებლივ მოუხმეთ ვინმეს სკოლის პერსონალისგან, დაუმახეთ ხმამაღლა, ან სხვა გაგზავნეთ დასაძახებლად.

✿ გაშვების შემდეგ შეეცადეთ დაამყაროთ კომუნიკაცია ჩხუბში მონაწილეებთან. უთხარით, რომ მზად

ხართ დაეხმაროთ პრობლემის გადაჭრაში, მხოლოდ არა-ძალადობრივი გზებით. ეცადეთ გაიგოთ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების შესახებ და მოახდინოთ მისი განმუხტვა.



უმჯობესია, თუ გაშვებების შემდეგ კონფლიქტის მონაწილე მოსწავლეები ცოტა ხნით სხვადასხვა სივრცეში იქნებიან, ოღონდ ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას როგორც ერთის, ისე მეორის მეთვალყურეობა ზრდასრული პირის მიერ. სხვადასხვა სივრცეში ყოფნა და მხარდამჭერ მოზრდილთან კომუნიკაცია ხელს შეუწყობს მოსწავლის თვით-კონტროლის აღდგენასა და ნეგატიური ემოციებისგან განტვირთვას, რაც შეამცირებს მოსწავლეთა შორის დაპირისპირების ახალი ტალღის აღმოცენების რისკს.

სუიციდური ან თვით-დამაზიანებელი ქმედებები

სკოლის სივრცეში შეიძლება მოგიწიოთ შეჯახება მოსწავლის თვით-დამაზიანებელ ქმედებებთან, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს სუიციდის სურვილს, ან არც უკავშირდებოდეს. მაგ.: თვით-დამაზიანებელი ქცევა შეიძლება წარმოადგენდეს მანიპულატორულ ქმედებას ყურადღების ან სხვა სასურველი რამის მისაღწევად, სენსორული თვით-სტიმულაციის გზას ან სხვა. როგორი ინტერპრეტაციაც არ უნდა გაუკეთოს პედაგოგმა მოსწავლის მიერ ჩადენილ თვით-დამაზიანებელ ქმედებებს,

მათი იგნორირება არ შეიძლება. თუ ხედავთ, რომ მოსწავლე სუიციდის, ან თვით-დამაზიანების საფრთხის ქვეშაა, იმოქმედეთ შემდეგი რჩევების გათვალისწინებით:



არ დატოვოთ მოსწავლე მარტო



დაამყარეთ პოზიტიური კომუნიკაცია მოსწავლესთან



იყავით თანამგრძნობი, მხარდამჭერი, შესთავაზეთ დახმარება



შეძლებისდაგვარად უზრუნველყავით მოსწავლის ფიზიკური უსაფრთხოება. თუ მოსწავლე თქვენს სიტყვიერ თხოვნას არ ემორჩილება, გამოიყენეთ ფიზიკური ინტერვენცია. მაგ.: იმისათვის, რომ გამოართვათ დანა, როლითაც ცდილობს სხეულის დასერვას; ან ფიზიკური ძალისხმევით მოაცილეთ ფანჯარას, საიდანაც აპირებს გადახტომას.



მოუხმეთ ფსიქოლოგს



თუ ხედავთ, რომ თვით-დამაზიანებელი ქცევა თვით-სტიმულაციას ემსახურება, დახმარებისათვის მიმართეთ ოკუპაციურ თერაპევტს.



გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება, თუ ამისი საჭიროება არსებობს



საჭიროა აცნობოთ მშობლებს მომხდარის შესახებ და, ბოლოს, წარმოგიდგენთ ზოგად რეკომენდაციებს, რაც გასათვალისწინებელია კრიზისული ინტერვენციის შემთხვევებში



და, ბოლოს, წარმოგიდგენთ ზოგად რეკომენდაციებს, რაც გასათვალისწინებელია კრიზისული ინტერვენციის შემთხვევებში:

- ☒ შეინარჩუნეთ სიმშვიდე, არ ჩავარდეთ პანიკაში
- ☒ შეძლებისდაგვარად უზრუნველყავით სხვა მოსწავლეების მოცემული სიტუაციისგან მოშორება
- ☒ საჭიროების შემთხვევაში გაეცით მითითებები გარემომყოფებისთვის
- ☒ მოიხმეთ დამხმარე ძალა. თუ თქვენ ვერ ახერხებთ დამახებას, სხვას სთხოვეთ ამის გაკეთება
- ☒ კარგად გაიცანით მოსწავლე მანამ, სანამ კრიზისული სიტუაციის წინაშე აღმოჩნდებით. ეს საშუალებას მოგცემთ უკეთ გაუმკლავდეთ კრიზისულ სიტუაციას
- ☒ ფიზიკური ინტერვენციის შემდეგ, როდესაც სიტუაცია „ჩაწყნარდება“, მიზანშეწონილია მოხდეს ე.წ. დებრიფინგი, სიტუაციის განხილვა. სკოლის პერსონალმა (საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტებთან ერთად) უნდა განიხილონ ინციდენტი, კერძოდ, იმსჯელონ მომხდარის შესახებ, თუ რა უძლოდა წინ მოსწავლის ქცევას, კონკრეტულად რა სახით გამოვლინდა ქცევა, რა ზომები იქნა მიღებული სიტუაციის დეესკალაციისთვის, რა სახის ფიზიკური ინტერვენცია გახდა საჭირო, რამდენად ეფექტური იყო, ვისი დახმარება გახდა საჭირო, რა შეიძლებოდა გაკე-

თებულიყო უკეთესად, მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში რა უნდა გაკეთდეს?

- ☒ კრიზისული ინტერვენციის შემდეგ, როგორც კი ამის საშუალება იქნება, მოახდინეთ დებრიფინგი იმ მოსწავლესთან, რომლის ქცევამაც კრიზისული სიტუაცია შექმნა
- ☒ მოახდინეთ ინციდენტის დოკუმენტირება, აღადგინეთ და დაწერეთ ყველა დეტალი მომხდარის და ინტერვენციის შესახებ. მნიშვნელოვანია დააფიქსიროთ ინფორმაცია ქცევის წინაპირობებისა და შედეგების შესახებაც. ცხადია, დოკუმენტირების დროს უნდა გახსოვდეთ კონფიდენციალობის საკითხი და იზრუნოთ იმაზე, რომ მოცემული დოკუმენტაცია არ გახდეს ხელმისაწვდომი იმ პირებისთვის, ვისთვისაც მოცემული ინფორმაციის ფლობა საჭიროებას არ წარმოადგენს.

და, ბოლოს, თუ კრიზისული ინტერვენციის საჭიროება კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებაში რეგულარულ ხასიათს მიიღებს, ეს იმას ნიშნავს, რომ არასათანადოდ ან საერთოდ არ მიმდინარეობს მოსწავლის ქცევის მოდიფიკაციაზე მიმართული ჩარევა და სკოლის პერსონალი სპეციალისტებთან ერთად ამ საკითხზე მეტად უნდა ფოკუსირდეს.

თავი 3.

მონაწილეობა და რეფერირება კრიზისული სიტუაციების დროს

3.1. მხარეები და მათი როლები

ბავშვის ქცევის მართვა ოჯახისა და საერთოდ, საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხია. ყველას აქვს სურვილი, რომ მოსწავლე, სახლშიც, სკოლაშიც და სხვა გარემოშიც კარგად იქცეოდეს და ბავშვის ქცევის მართვისთვის მიმართავენ სხვადასხვა ტექნიკებს, ზოგ შემთხვევაში სწორს, ზოგ შემთხვევაში არასწორს. მეცნიერული თვალსაზრისით თუ მიუდგებიტ და შევისწავლიტ მოსწავლის რტულ ქცევებს, დავინახავტ, რომ ხშირად მოცემული არასასურველი ქცევა დასწავლილია, განპირობებულია, განმტკიცებულია, პროვოცირებულია სწორედ სხვების, გარშემომყოფების მიერ (მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები და ა.შ.). სწორედ ამიტომ, რტულ ქცევაზე სპეციალისტების მუშაობა არ მიმდინარეობს იზოლირებულად, ერთი ერთზე პრინციპიტ, და ინტერვენცია როგორც წესი, კომპლექსურ მიდგომას და მხარეებს შორის თანამშრომლობას საჭიროებს.

ბუნებრივია, სკოლაში წარმოშობილი კრიზისული სიტუაციების მართვა, პირველ რიგში, სკოლის პერსონალის

პასუხისმგებლობაა. სკოლას განსაკუთრებული როლი აკისრია მოსწავლეთა რტული ქცევის პრევენციული ღონისძიებების გატარებაში, რაც თავის მხრივ შეამცირებს კრიზისული სიტუაციების აღმოცენების რისკებს. ხოლო კრიზისული სიტუაციების მართვის პროცესში ისე უნდა იმოქმედოს, რომ დაიცვას მოსწავლეთა უსაფრტხოება და უფლებები.

რაც შეეხება მშობლების როლს, მათაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრიატ კრიზისული სიტუაციების მართვისთვის. მაგალიტად, მშობლებთან თანამშრომლობა გადამწყვეტია მოსწავლის მოსალოდნელი ქცევების განსაზღვრისას, კრიზისის მართვის გეგმის შედგენის ეტაპზე და კრიზისული ინტერვენციის შემდგომ საფეხურზე. გარდა იმისა, რომ მშობელი სკოლას უნდა აძლევდეს ინფორმირებულ თანხმობას სკოლას კრიზისების მართვის გეგმის და ინტერვენციების თაობაზე, უნდა აქტიურად ითანამშრომლოს სკოლის პერსონალთან და სპეციალისტებთან საჭიროების შემთხვევაში.

არის შემთხვევები, როდესაც სკოლის პერსონალის მხრიდან მშობლისთვის მისი შვილის რტული ქცევის და შექმნილი კრიზისული სიტუაციის შესახებ ინფორმირებას მოყვება მწვავე რეაქცია მშობლის მხრიდან და ურტოერთობის გაფუჭება სკოლასთან. მაგ.: შეიძლება მშობელს არ ჰქონდეს მიმღებლობა საკუთარი შვილის

სპეციალური ქცევით-ემოციური საჭიროებების შესახებ, სუბიექტურად შეაფასოს მომხდარი, დაადანაშაულოს სხვა მოსწავლეები შვილის ქცევის პროვოცირებაში, ან დაადანაშაულოს თვითონ სკოლის პერსონალიც კი არასწორი მიდგომების გამოყენებაში და ა.შ. არ სურთ რა მშობელთან ურთიერთობის გაფუჭება, ზოგჯერ სკოლის პერსონალი ცდილობს დამალოს ან „შეალამაზოს“ ინფორმაცია, რაც რეკომენდებული არ არის. ამის საპირისპიროდ, რაც უფრო კარგად იქნება მშობელი ინფორმირებული, რაც მეტი დეტალები ეცოდინება წარმოქმნილი სიტუაციის შესახებ, მით მეტია იმის ალბათობა რომ მშობელმა სხვისი დადანაშაულების გარეშე მიიღოს არსებული რეალობა და ყურადღება წარმართოს სამომავლოდ მსგავსი სიტუაციების თავიდან აცილების შესაძლებლობებზე.

! უმნიშვნელოვანესია სკოლის პერსონალმა მშობელთან კომუნიკაცია სწორად წარმართოს. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა, საჭიროა:

- ☆ არ დაადანაშაულოს მშობელი და ოჯახი;
- ☆ შეაფასოს ბავშვის ქცევა და არა მოსწავლე. დაუშვებელია მოსწავლის მოხსენიება ისეთი ნეგატიური მნიშვნელობის სიტყვებით, როგორიცაა: მაგ.: აგრესიული, სასტიკი, ბოროტი, უზრდელი;

☆ აგრძნობინოს მშობელს, რომ მათი სურვილია არა ვინმეს გაკიცხვა, არამედ თანამშრომლობა მომავალში პრობლემების თავიდან ასაცილებლად;

☆ ესაუბროს პრობლემის გადაჭრის გზებზე, მოისმინოს მშობლის მოსაზრებები, თავადაც გაუზიაროს და ისე შეჯერდნენ საბოლოო გამოსავალზე.

3.2. მხარდამჭერი რესურსები და რეფერირება

თითოეულ სკოლას სხვადასხვა სახის მხარდამჭერი რესურსები გააჩნია კრიზისული სიტუაციების სამართავად. აქ შედის როგორც ადამიანური და პროფესიული რესურსი (მაგ.:მანდატურის, ფსიქოლოგის შტატი), ისე საინფორმაციო-საგანმანათლებლო (მაგ.:სპეციალური გზამკვლევები) და მატერიალური რესურსები (მაგ.: რესურს ოთახი, კრიზისული სიტუაციების მართვის გეგმა). ცხადია, სკოლას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მიმართოს და გამოიყენოს გადაუდებელი დახმარების სერვისებიც: სასწრაფო დახმარება, სახანძრო-სამაშველო სამსახური, საპატრულო პოლიცია).

როდესაც ქცევით სირთულეებზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სპეციალისტებს, რომლებიც ქცევის მოდიფიკაციაზე და ან ბავშვის რთული ქცევის ხელშემწყობი ფაქტორების

მინიმიზებაზე მუშაობენ. რაც არ უნდა კვალიფიციური, გამოცდილი და მრავალმხრივ კომპეტენტური იყოს მასწავლებელი, მას არ ექნება საკმარისი ცოდნა იმისათვის, რომ სრულიად დამოუკიდებლად შეძლოს მოსწავლის ქცევებით გამოწვეული კრიზისული სიტუაციების მართვა. ე.წ. „ცდისა და შეცდომების” მეთოდი კრიზისული სიტუაციების სამართავად არამიზანშეწონილი იქნება და არასწორმა რეაგირებამ სავალალო შედეგებამდეც შეიძლება მიგვიყვანოს. სკოლას შესაძლოა არ გააჩნდეს იმის რესურსი, რომ კონკრეტული მოსწავლისთვის საჭირო ყველა სპეციალისტის ჩართულობა უზრუნველყოს ადგილზე. ქცევაზე მომუშავე სპეციალისტების კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის ფლობა დაეხმარება მასწავლებლებს სწორად მოახდინონ მოსწავლის რეფერირება (იგულისხმება მშობლების ჩართულობით, მაგ.: მათთვის შესაბამის სპეციალისტთან ვიზიტის შესახებ რეკომენდაციის გაწევით) ამათუიმ პროფესიონალთან და შემდგომ წარმატებით ითანამშრომლონ მათთან მომავალში კრიზისული სიტუაციების განმეორებით გამოვლენის თავიდან ასაცილებლად.

უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფთ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს რამოდენიმე პროფესიას და მიმოვიხილავთ ბავშვის მწვავე რთულ ქცევებზე მუშაობის კონტექსტში.



☒ **ფსიქოლოგი** - ფსიქოლოგის როლი დიდია მოსწავლის განვითარების, საგანმანათლებლო, ემოციური თუ ქცევითი სირთულეების დროს. როდესაც პრობლემური ქცევა არსებობს, ფსიქოლოგს შეუძლია ფუნქციური შეფასებით სწორად განსაზღვროს თუ რატომ ვლინდება რთული ქცევა, შემდეგ, ფუნქციურ ანალიზზე დაყრდნობით შეიმუშავეს ინტერვენციის გეგმას, რასაც განახორციელებს თვითონ, ან სხვა პირი მისი ინსტრუქტაჟით. ფსიქოლოგიური შეფასების საფუძველზე ასევე შეუძლია განსაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის მხრიდან რთული ქცევების გამოვლენას (მაგ.: სტრესი, აღზრდის არასწორი სტილი ოჯახში, პედაგოგის არასათანადო მიდგომები და ა.შ.) და იმუშაოს მათ აღმოფხვრაზე. ფსიქოლოგს შეუძლია იმუშაოს არა მხოლოდ ინდივიდუალურად, პირდაპირ მოსწავლესთან, არამედ გაუწიოს კონსულტაცია სკოლის პერსონალს, მშობლებს.

✓ **ნეიროფსიქოლოგი** - ნეიროფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგია, რომელიც სწავლობს ადამიანის ქცევისა და ფსიქიკური ფუნქციების თავისებურებებს ტვინის ლოკალური დაზიანების ან ტვინის უბნებში მიმდინარე ცვლილებების ფონზე. შესაბამისად, ნეიროფსიქოლოგებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ტვინის დაზიანების ან განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეების დიაგნოსტიკისა თუ ჩარევის პროგრამების შემუშავების კუთხით.

✓ **ოკუპაციური თერაპევტი** - ოკუპაციურ თერაპევტს შეუძლია იმუშაოს მოსწავლის დეფიციტური უნარების განვითარებაზე, რაც, როგორც ცნობილია, შეიძლება იყოს რთული ქცევების ხელშემწყობი ფაქტორი. გარდა ამისა, ოკუპაციური თერაპევტი წარმოადგენს სპეციალისტს, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს მოსწავლის სენსორული საჭიროებები, შესთავაზოს შესაბამისი ტაქტილური, სმენითი, ვესტიბულარული, პროპრიოცეპტული აქტივობები, რაც ჩაანაცვლებს მოსწავლის თვით-სტიმულაციაზე მიმართულ რთულ ქცევებს.

✓ **ფსიქიატრი** - ფსიქიატრის ჩართულობა მოსწავლის ქცევის დარღვეულობაში მნიშვნელოვანია მაშინ, თუ ბავშვს დასმული აქვს რომელიმე ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი, საჭიროებს მედიკამენტურ მკურნალობას ან არსებობს ეჭვი დიაგნოზის შესახებ.



სასარგებლო იქნება, თუ სკოლას ექნება ინფორმაცია და მიაწვდის მშობელს იმ კონკრეტული მომსახურებების და პროგრამების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია ქვეყანაში და ბავშვის უნარების განვითარებას, ქცევის რეგულირებას და მშობლის კონსულტირებას მოიცავს.

ტერმინთა განმარტება

განვითარების დარღვევები - ადამიანის ქრონიკული მდგომარეობები, რომელიც იწყება ბავშვობის ასაკში და თან ახლავს მენტალური ან ფიზიკური დარღვევები. ტერმინის ქვეშ ერთიანდება სხვადასხვა დიაგნოზები, მაგ.: როგორიცაა: დაუნის სინდრომი, პერვასიული დარღვევები, ინტელექტუალური დარღვევები და სხვა.

დაგეგმილი იგნორირების ტექნიკა - ქცევის მართვის ერთ-ერთი ტექნიკა, რომელიც გულისხმობს არასასურველი ქცევის გამოვლენისას მის იგნორირებას, ანუ ყურადღების არ მიქცევას. მოცემული ტექნიკა ეფექტურია როდესაც ბავშვის ქცევის შემანარჩუნებელი ფაქტორი სხვების ყურადღების მიღებაა. მოცემული ტექნიკის გამოყენებისას ასევე ხდება ალტერნატიული, მისაღები ქცევის განმტკიცება.

დებრიფინგი - სიტუაციის განხილვა მომხდარი ინციდენტის შემდეგ, მაგ.: მსჯელობა თუ რა უძღოდა წინ მოსწავლის ქცევას, კონკრეტულად რა სახით გამოვლინდა ქცევა, რა ზომები იქნა მიღებული სიტუაციის დეესკალაციისთვის, რამდენად ეფექტური იყო, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო უკეთესად, მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში რა უნდა გაკეთდეს.

დეესკალაცია - რთული ქცევის გამწვავების თავიდან აცილება, „სიტუაციის განმუხტვა“

ვერბალური აგრესია - სიტყვიერად გამოხატული აგრესია, უცენზურო სიტყვები, ყვირილი, მუქარა, დამამცირებელი კომენტარები და ა.შ

თერაპიული ინტერვენცია - თერაპიაზე, პოზიტიურ ცვლილებაზე მიმართული ჩარევა

თვითდამაზიანებელი ქცევა - ქცევა, რომლის დროსაც პიროვნება ფიზიკურ ზიანს აყენებს საკუთარ სხეულს.

თვითსტიმულაცია - შეგრძნებების გამოწვევა და ამით სიამოვნების მიღება საკუთარი სხეულის, სხეულის ნაწილების ან საგნების განმეორებითი მოძრაობებით, ბგერების და სიტყვების წარმოთქმით და ა.შ.

ინკლუზიური განათლება - ინკლუზიური განათლება არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

კრეატიული - შემოქმედებითი

კრიზისული ინტერვენცია - მყისიერი ჩარევა, რეაგირება კრიზისული სიტუაციის დროს. მიმართულია მიმდინარე რთული ქცევის აღკვეთაზე

მასტურბაცია - საკუთარი გენიტალიებისა და ეროვნული ზონების ხელით ან სხვა საშუალებებით სტიმულირება

მოდელირება - სწავლების ერთ-ერთი ტექნიკა, როდესაც მოსწავლისთვის ჩვენების მიზნით თვითონ ახორციელებენ კონკრეტულ ქცევას, ანუ ასე აჩვენებენ რა როგორ უნდა გააკეთოს და ის იმეორებს.

პოზიტიური განმტკიცება - პროცესს, როდესაც ადამიანი რაიმე სახის ქცევას ავლენს და შედეგად მისთვის სასურველს (მატერიალურს თუ არამატერიალურს) იღებს პოზიტიური ქცევის მხარდამჭერი გეგმა - ქცევის მართვის გეგმა, რომელიც მიმართულია მისაღები ქცევების სწავლებასა და განმტკიცებაზე, რაც ჩაანაცვლებს რთულ ქცევებს.

პროპრიოცეპტული შეგრძნება - ეს შეგრძნებები ასახავენ ადამიანის მოძრაობას, მდებარეობას და წონასწორობას სივრცეში. მისი გამომწვევი რეცეპტორები მოთავსებულია კუნთებში, მყესებსა და ყურის ვესტიბულარულ აპარატში.

პრევენცია - თავიდან აცილება

რეფერირება - გადამისამართება

რთული ქცევა - ქცევა, რომელიც ვლინდება იმდენად ისეთი სიხშირით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით, რომ ხელს უშლის პიროვნების ყოველდღიურ ფუნ-

ქციონირებას, საფრთხეს უქმნის თავად მას ან სხვების კეთილდღეობას, აფერხებს სწავლებისა და განვითარების პროცესს, კომუნიკაციას და სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა (სსსმ) მოსწავლე რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია, აკომოდაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს: ა) ფიზიკური შეზღუდვა; ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა; გ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის); დ) მეტყველების განვითარების დარღვევა; ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა; ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება; ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

სენსორული - შეგრძნებითი

სენსორული ოთახი - სპეციალური ოთახი, სადაც წარმოდგენილია მულტი-მოდულობის შეგრძნებების გამომწვევი ობიექტები. მაგალითად, შეიძლება იყოს სპეცია-

ლური განათება, მუსიკა, სხვადასხვაგვარი ზედაპირის მქონე ნივთები, და ა.შ. გამოიყენება განვითარების და თერაპიული და მიზნებისთვის.

სტერეოტიპული ქცევა - საკუთარი სხეულის, სხეულის ნაწილების ან საგნების განმეორებითი მოძრაობები

სუიციდი - თვითმკვლელობაზე მიმართული მიზან-მიმართული ქმედება

ტანტრუმი - ბავშვის ემოციურ-ქცევითი გამოვლინება, გაბრაზების, განაწყენების, იმედგაცრუებისა თუ ყურადღების მოპოვების მიზნით. ამ დროს ბავშვი უკონტროლო ხდება – ყვირის, ტირის, იატაკზე წვება, იქნევს ხელ-ფეხს და ა.შ.

ტაქტილური შეგრძნება - კანზე შეხებით გამოწვეული

ტიპური განვითარების ბავშვი - ბავშვი, რომლის განვითარებაც ნორმის ფარგლებშია, არ აღენიშნება განვითარების დარღვევა

ფიზიკური აგრესია - ფიზიკური ზიანის ან ტკვილის მომტანი ქმედებები, მაგალითად როგორიცაა დარტყმა, დაკაწრა, ხელის კვრა, ა.შ.

ფიზიკური ინტერვენცია - ფიზიკური მანევრირებით, პირდაპირი ფიზიკური კონტაქტის გზით პიროვნების მოქმედებების მართვა, შეზღუდვა, შეჩერება, გადაადგილება,

მიმართულების შეცვლა, ა.შ. რათა არ დაიზიანოს თავი, არ დააზიანოს სხვა, ან ფიზიკური გარემო.

ქცევასთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაცია-სიტუაცია, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას გარშემომყოფების მხრიდან, რამდენადაც პიროვნება იქცევა ისე, რომ სერიოზული საფრთხე ექმნება თავად მას, სხვებს ან ფიზიკურ გარემოს.

ყურადღების გადანაცვლების სტრატეგია - ქცევის მართვის ერთ-ერთი სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ბავშვის ყურადღების გადატანას ისეთ მოვლენაზე, რაც მის ინტერესს გამოიწვევს და აღძრავს სხვა ქცევას, რის საფუძველზეც შეწყდება კონკრეტული რთული ქცევა

გამოყენებული ლიტერატურა:

- გამოყენებითი ფსიქოლოგიისა და კვლევის ცენტრი. (2017). როგორ ვმართოთ ბავშვის ქცევა.
- Alberto, P. A., & Troutman, A. C. (2013). Applied Behavior Analysis for Teachers. (9th edition). Upper Saddle River, NJ: Pearson Education, Inc.
- Anderson, C. M., & Kincaid, D. (2005). Applying Behavior Analysis to school violence and discipline problems: Schoolwide Positive Behavior Support. The Behavior Analyst, 28 (1), 49-63.
- Bauman, K. E., & Richman, G.S. (1994) Toward a functional Analysis of Self-injury. Journal of Applied Behavior Analysis, 27, 197-209
- Cooper, J. O., Heron, T. E., & Heward, W. L. (2007). Applied Behavior Analysis. (2nd ed.). Upper Saddle River, NJ: Pearson Education Inc.
- Council for Children with Behavioral Disorders. A Division of the Council for Exceptional Children. (2009). The Use of Physical Restraint Procedures in School Settings.
- George, M. P., White, G. P., & Schlaffer, J. J. (2007). Implementing School-wide Behavior Change: Lessons from the field. Psychology in the Schools, 44 (1), 41-51.
- Harrington, R. G. (2004). Temper Tantrums: Guidelines for parents. Helping Children at Home and at School: Handouts for Families and Educators.
- Hieneman, M., Dunlap, G., & Kincaid, D. (2005). Positive support strategies for students with behavioural disorders in general education settings. Psychology in the Schools, 42 (8), 779-794.
- Irish National Teachers' Organization. (2004). Managing Challenging Behaviour - Guidelines for Teachers.
- Minnesota National Alliance on Mental Illness. (2010). Mental Health Crisis Planning for Children Learn to Recognize, Manage, Prevent and Plan for Your Child's Mental Health Crisis.
- Murdock K. (2009). Guidelines on Preparing a Crisis Management Plan.
- Rock, M.L. (2000). Effective Crisis Management Planning: Creating a Collaborative Framework. Education and Treatment of Children, 23 (3), 248-264.

